საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

რეკომენდაციები სამართალდამცავ ორგანოებს სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად

რეკომენდაციები სამართალდამცავ ორგანოებს სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

თბილისი
2024

გამოცემის ხელმძღვანელი: შორენა ლოლაძე

ავტორები: დავით ჯავახიშვილი
ალექსანდრე პატარაია

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

1. საერთაშორისო სტანდარტები 5

2. შიდა ეროვნული კანონმდებლობა 11

2.1. სამართალდამცავების ურთიერთობა შშმ პირებთან 11

2.2. სამართალდამცავების ურთიერთობა ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფ პირებთან 12

3. პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემური შემთხვევები 15

4. რეკომენდაციები 18

შესავალი

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს საქმიანობის განხორციელებისას ურთიერთობა უწევთ სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცდილება ადასტურებს, რომ, ზოგ შემთხვევაში, პრაქტიკაში არ არის გამოყენებული ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით დადგენილი ის სტანდარტები, რომლებიც ამ პირთა უფლებებს იცავს. საჯარო უწყებებიდან მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობის გარკვეული ასპექტები ზოგიერთ შემთხვევაში არ არის სრულყოფილად მოწესრიგებული. როგორც წესი, არსებულ დოკუმენტებს (წესებს) შიდაუწყებრივი მოქმედების დანიშნულება აქვს.

წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს სპეციალური საჭიროების მქონე პირთა უფლების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, საქართველოში დღეს მოქმედ კანონმდებლობასა და შესაბამის პრაქტიკას. რეკომენდაციები მოიცავს სამართალდამცავ უწყებებთან ურთიერთობის რამდენიმე ეტაპს და, ძირითადად, შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემურ ერთეულებს, რადგან ამ სამინისტროს თანამშრომლებს სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან შედარებით, ყველაზე ხშირად უწევთ პირველადი ურთიერთობა სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან. თუმცა, რეკომენდაციები და კონკრეტულ სფეროში განზოგადებული პრინციპული მიდგომები, შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება ყველა სამართალდამცავ უწყებაზე.

ამ დოკუმენტის მიზანია, პრაქტიკული გამოწვევების ანალიზის საფუძველზე, სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზება, რათა გაუმჯობესდეს სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობა და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები იმ ადმინისტრაციულ თუ სამართალწარმოების პროცესში, რომლებშიც ეს პირები მონაწილეობენ.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიზნებისთვის, სპეციალური საჭიროების მქონე პირებად განიხილებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ადამიანები და პირები, რომლებიც სამართალდამცავ უწყებებთან ურთიერთობის დროს იმყოფებიან ალკოჰოლური ან სხვა ნივთიერებების თრობის ქვეშ. ამ კატეგორიების პირები ხშირად ერთდროულად არიან წარმოდგენილნი სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტში, ვინაიდან მათთან ურთიერთობაში თანაბრად მნიშვნელოვანია სპეციალური საჭიროების გათვალისწინება.[1] ამ პირებთან მიმართებით სპეციალურ საჭიროებას განაპირობებს ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელიც სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა მხრიდან შეიძლება მოითხოვდეს სათანადო მიდგომის შერჩევას. სტანდარტულმა მიდგომებმა და ინციდენტში მონაწილე პირთა ინდივიდუალური საჭიროებების უგულებელყოფამ, შესაძლებელია, გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ხელყოფა, ამასთანავე, ხელი შეუშალოს სპეციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებების ჯეროვან რეალიზებას.

[1] იხ. Brown H. *Safeguarding adults and children with disabilities against abuse,* გვ. 20, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/16805a297e [25.12.2023].

1. საერთაშორისო სტანდარტები

სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება, რომლის შესაბამისადაც, მან უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად. ნიშანდობლივია, რომ ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფ პირებს, მიუხედავად სპეციალური კონვენციის არარსებობისა, იცავს ყველა ის საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი და პრინციპი, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას მათი ჯანმრთელობის მიმართ არსებული რისკებისა და ფაქტობრივი კონტექსტის დროს გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით.

გაერო

ნიშანდობლივია, რომ საქართველო არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო (შემდგომში - *„კონვენცია"*). კონვენციის რამდენიმე მუხლი არეგულირებს სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საკითხს. კონკრეტულად, მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების ეფექტიან ხელმისაწვდომობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, იმ პროცესუალური და ასაკთან შესაბამისი კორექტივების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობს მათ მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილის როლის ქმედით განხორციელებას, მათ შორის, მოწმის სახით, იურიდიული პროცედურების ყველა საფეხურზე, გამოძიებისა და საქმეთა წარმოების სხვა საწყისი საფეხურების ჩათვლით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ასევე ითვალისწინებს სამართალდამცავი უწყებების ინფორმირების გაზრდის ვალდებულებასაც. კონკრეტულად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ სამართლის ადმინისტრირების სფეროში მომუშავე, მათ შორის, პოლიციისა და ციხის პერსონალს შესაბამისი განათლების მიღებაში.

ამასთანავე, კონვენცია ყურადღების მიღმა არ ტოვებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი შეიძლება დაექვემდებაროს თავისუფლების აღკვეთას. ასეთ შემთხვევაში, კონვენციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებმა ისინი უნდა უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით დადგენილი თანაბარი გარანტიებით. გარდა ამისა, მათთან ურთიერთობაში უნდა იხელმძღვანელონ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პრინციპებით, გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ჩათვლით.

გონივრული მისადაგების პრინციპი გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელ და შესაბამის მოდიფიკაციებსა და კორექტივებს, რომლებიც არ იწვევს დაუძლეველ, გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას თანაბარ პირობებში.

შშმ პირებისა და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთობის ფარგლებში ასევე მნიშვნელოვანია გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიერ მა-

რთლმსაჯულების საკითხებზე შემუშავებული 10 სახელმძღვანელო პრინციპის გათვალისწინება.[2]

ეს პრინციპებია:

პრინციპი 1 - ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს ქმედუნარიანობა, შესაბამისად, არავის უნდა აეკრძალოს მართლმსაჯულებაზე წვდომა შეზღუდული შესაძლებლობის გამო;

პრინციპი 2 - უზრუნველყოფილი უნდა იყოს მართლმსაჯულების საშუალებებისა და სერვისების საყოველთაო, თანაბარი ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის გარეშე;

პრინციპი 3 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ბავშვებს აქვთ სათანადო პროცედურული მისადაგების უზრუნველყოფის უფლება;

პრინციპი 4 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ, მიიღონ იურიდიული ცნობები და ინფორმაცია დროულად და ხელმისაწვდომი ფორმით, სხვების თანასწორად;

პრინციპი 5 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ, მიიღონ ყველა არსებითი და პროცედურული გარანტია, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო სამართლით, სხვების თანასწორად; სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საჭირო პირობები სამართლიანი პროცესის უზრუნველსაყოფად;

პრინციპი 6 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ უფასო ან ხელმისაწვდომი იურიდიული დახმარების მიღების უფლება;

პრინციპი 7 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ, სხვების თანასწორ პირობებში, მონაწილეობა მიიღონ მართლმსაჯულების განხორციელებაში;

პრინციპი 8 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ, გააგზავნონ საჩივრები და წამოიწყონ სამართლებრივი წარმოება ადამიანის უფლებათა დარღვევებსა და დანაშაულებთან დაკავშირებით, გამოიკვლიონ მათი საჩივრები და ხელი მიუწვდებოდეთ სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებებზე;

პრინციპი 9 - ეფექტიანი და ძლიერი მონიტორინგის მექანიზმები გადამწყვეტ როლს ასრულებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში;

პრინციპი 10 - მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე ყველა პირი ჩართული უნდა იყოს ცნობიერების ამაღლებისა და სასწავლო პროგრამები, რომლებიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს, განსაკუთრებით, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კონტექსტში.

[2] United Nations Human Rights Special Procedures, *International Principles and Guidelines on Access to Justice for Persons with Disabilities* (UN, 2020, Geneva), ხელმისაწვდომია: https://social.desa.un.org/sites/default/files/migrated/15/2020/10/Access-to-Justice-EN.pdf [11.12.2023].

ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი სტანდარტები

ამ საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომები და ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი სტანდარტები, ვინაიდან სასამართლოს პრეცედენტები ნათლად ასახავს, რას მოიცავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით (შემდგომში „ევროპული კონვენცია") გათვალისწინებული ვალდებულებები. ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული დოკუმენტები კი ხელს უწყობს უფლებათა დაცვის სტანდარტის გაუმჯობესებას და კონვენციით განმტკიცებული ვალდებულებების შესრულებას.

ევროპული კონვენცია პირდაპირ არ მიუთითებს სპეციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებებზე, თუმცა მასში ჩამოყალიბებული პრინციპები იცავს როგორც შშმ, ისე ალკოჰოლური თუ სხვა ნივთიერებების თრობის ქვეშ მყოფ ადამიანებს. ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლები სახელმწიფოს ავალდებულებს, არა მხოლოდ დაიცვას ისინი სიცოცხლის ხელყოფისა და არასათანადო მოპყრობისგან, არამედ, ასევე, აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება და პასუხისგებაში მისცეს ყველა პირი, რომლებიც მათ წინააღმდეგ ამგვარ ქმედებას ჩაიდენენ. ნიშანდობლივია, რომ ეს წრე არ არის შემოფარგლული მხოლოდ სახელმწიფო მოხელეებით და იგი მოიცავს კერძო პირებსაც.

გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა საპოლიციო ქმედებამაც, რომელიც, თავისთავად, არ არის სასიკვდილო, თუმცა გარემოებებთან ერთად იწვევს ლეტალურ შედეგს. ამ მხრივ, საყურადღებოა რამდენიმე გადაწყვეტილება:

- ***იასინკისი ლატვიის წინააღმდეგ* (*Jasinkis v. Latvia*)[3]**

ღამით, მეგობრებთან ერთად ალკოჰოლის მიღების შემდეგ, მომჩივნის ვაჟი, რომელიც სმენადაქვეითებული იყო, კიბეებიდან გადმოვარდა, თავი დაიზიანა და რამდენიმე წუთით გონება დაკარგა. პოლიციას ეცნობა როგორც დაზიანების ფაქტის, ისე სმენის შეზღუდვის შესახებ. ამის მიუხედავად, იგი სამედიცინო დახმარების მისვლამდე გამოსაფხიზლებელ ცენტრში გადაიყვანეს. შშმ პირს თავზე აღენიშნებოდა დაზიანება, თუმცა, მორიგე ოფიცერმა სამედიცინო მუშაკებს განუცხადა, რომ საჭირო არ იყო სამედიცინო გამოკვლევა, ვინაიდან ის, უბრალოდ, მთვრალი იყო. საკანში მოთავსების შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მომჩივნის ვაჟი კარსა და კედლებზე აბრახუნებდა, მაგრამ - უშედეგოდ. მას არ ჰქონდა პოლიციის ოფიცრებთან კომუნიკაციის რაიმე შესაძლებლობა, ვინაიდან, როგორც ჩანს, არც ერთ მათგანს არ ესმოდა ჟესტების ენა, ხოლო წიგნაკი, რომელსაც იგი, როგორც წესი, კომუნიკაციისთვის იყენებდა, ჩამოართვეს. შშმ პირი საავადმყოფოში მხოლოდ მას შემდეგ გადაიყვანეს, რაც მიიჩნიეს, რომ „ძალიან დიდხანს ეძინა". რამდენიმე საათის შემდეგ ის გარდაიცვალა. ექსპერტიზამ დაადასტურა თავისა და ტვინის მრავალგზის დაზიანებები. სწორედ ეს გახდა მისი გარდაცვალების მიზეზი.

[3] *Jasinkis v. Latvia, app no. 45744/08, 2010.12.21.*

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განსაკუთრებით დაუცველები არიან პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას. პოლიცია სათანადოდ იყო ინფორმირებული მომჩივნის შვილის შეზღუდული შესაძლებლობებისა და მიღებული დაზიანებების შესახებ. თუმცა, დაპატიმრებისას მას არ ჩაუტარეს ის სამედიცინო გამოკვლევები, რომლებიც მოეთხოვებოდათ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) სტანდარტების მიხედვით. ამ კომიტეტის მეორე ზოგადი ანგარიშის თანახმად,[4] პოლიციის მიერ დაკავებულ პირს უნდა ჰქონდეს ექიმთან წვდომის უფლება, პირველადი გამოკვლევის ჩათვლით. ამ უფლების შესახებ მას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს. ამასთანავე, სამედიცინო გამოკვლევის თაობაზე ინფორმაცია, დაკავებულის რელევანტური განცხადებები, ისევე, როგორც ექიმის დასკვნები, ოფიციალურად უნდა ჩაიწეროს და ხელმისაწვდომი იყოს დაკავებულისა და მისი ადვოკატისთვის.

შშმ პირს არ მიეცა საშუალება, თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცველებისთვის მიეწოდებინა, მაშინაც კი, როცა ის გარკვეული დროის განმავლობაში შეუჩერებლად აბრახუნებდა საკნის კარსა და კედლებზე. იმის გათვალისწინებით, რომ პირი სმენადაქვეითებული იყო, პოლიციას ჰქონდა ვალდებულება, უზრუნველეყო მისთვის კომუნიკაციის შესაბამისი, მაგალითად, საწერი საშუალებები. განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო დიდი შუალედი შშმ პირის მიერ „გაღვიძებაზე უარის თქმასა" და სასწრაფო დახმარების გამოძახებას შორის. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ პოლიციამ ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა, დაეცვა შშმ პირის სიცოცხლე, რითაც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლით (სიცოცხლის უფლება) გარანტირებული უფლება.

- ***ბოუკროუროუ და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Boukrourou and Others v. France)[5]***

საქმის გარემოებების მიხედვით, ფარმაცევტმა პოლიციას შეატყობინა, რომ აფთიაქში იმყოფებოდა პირი, რომელიც, მას შემდეგ, რაც უარი უთხრეს კონკრეტული მედიკამენტის გადაცემაზე, იქცეოდა აგრესიულად და აღენიშნებოდა ფსიქიკური დაავადების ნიშნები. მოგვიანებით, მამაკაცი აფთიაქშივე სკამზე ჩამოჯდა და პოლიციის მისვლამდე დამშვიდდა. პოლიციის თანამშრომლებმა მას რამდენჯერმე სთხოვეს შენობის დატოვება, თუმცა უარი მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცი არავის საფრთხეს არ უქმნიდა, მათ მისი ძალით გაყვანა გადაწყვიტეს. საპოლიციო ღონისძიების დროს წარმოქმნილი წინააღმდეგობის გამო, პოლიციელებმა მას ორჯერ დაარტყეს მუშტი მუცლის არეში, მიუხედავად იმისა, რომ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ ასეთი ძალის გამოყენება არ იყო გამართლებული და აუცილებელი. ამგვარმა მოპყრობამ, შედეგად, მისი წინააღმდეგობა გაზარდა.

ფსიქიკური შეზღუდვის მქონე პირი პოლიციის ავტომობილში იმგვარად მოათავსეს, რომ იგი სახით ქვემოთ იყო მიმართული, ხელები შეკრული ჰქონდა, ხოლო სხეულზე 3 პოლიციელი აწვებოდა. დაკავების პროცესში ის გულის უკმარისობით გარდაიცვა-

[4] ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის მე-2 ზოგადი ანგარიში [CPT/Inf (92) 3], ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/1680696a3f [25.12.2023].

[5] *Boukrourou and Others v. France, app no. 30059/15, 2017.11.16.*

ლა. ავტოფსიის დასკვნის თანახმად, სასიკვდილო შედეგის გამოწვევას, შესაძლებელია, ხელი შეუწყო დაკავების დროს მსხვერპლის მიერ განცდილმა სტრესმა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციის მხრიდან მსხვერპლზე განხორციელებული ძალადობა მიზნად არ ისახავდა მის დამცირებას ან ტანჯვას. მათი ქცევა შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო მზადყოფნის, გამოცდილების, შესაბამისი სწავლების ან აღჭურვილობის ნაკლებობით. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ინფორმირებულნი იყვნენ მსხვერპლის ფსიქიკური შეზღუდვის შესახებ, პოლიციის ოფიცრებს არ დაუგეგმავთ, რა ზომები უნდა გაეტარებინათ უარყოფითი ან აგრესიული რეაქციის საპასუხოდ. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მოწყვლადი პირის მიმართ განხორციელებულმა ძალადობრივმა, განმეორებითმა და არაეფექტიანმა ქმედებებმა გამოიწვია ადამიანის ღირსების შელახვა და კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლის დარღვევა.

- ***სემაჩი საფრანგეთის წინააღმდეგ (Semache v. France)***[6]

საქმეში არსებული ფაქტების მიხედვით, განმცხადებლის 69 წლის მამა, რომელიც ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, პოლიციამ სამართალდამცავი პირის შეურაცხყოფის ბრალდებით დააკავა. ის პოლიციის სამმართველოში გადაყვანის პერიოდში შებოჭილი ჰყავდათ ისე, რომ მისი თავი მუხლებს ეხებოდა. სამმართველოში მიყვანის დროს მას უჭირდა წონასწორობის შენარჩუნება და ჰქონდა პირღებინება, თუმცა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება არ გაეწია, ხელები კი კვლავ შებორკილი ჰქონდა. სამმართველოში მისვლიდან ნახევარი საათის შემდეგ იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც პოლიციის ფურგონში 45 წუთი დააყოვნეს. პოლიციამ შენიშნა, რომ პირი ღებინების გამო იხრჩობოდა. მალევე ექიმმა დააფიქსირა გულის გაჩერება, რის შემდეგაც მსხვერპლი იმყოფებოდა კომაში, ხოლო მომდევნო დღეს გარდაიცვალა.

სასამართლომ, პირველ ყოვლისა, აღნიშნა, რომ არ შეიძლებოდა, პოლიციას არ სცოდნოდა მსხვერპლის მდგომარეობის შესახებ. პოლიციის ოფიცრებისთვის, რომლებმაც ის დააკავეს და სამმართველოში გადაიყვანეს, ასევე ცნობილი იყო გამოყენებული შებოჭვის ტექნიკის თანმდევი სიცოცხლისთვის შეუთავსებელი რისკების თაობაზე. სასამართლომ ხაზი გაუსვა მსხვერპლის ალკოჰოლით განპირობებულ მოწყვლადობას, მენტალურ, ფიზიკურ სისუსტეებს, რომლებსაც, კონკრეტულ შემთხვევებში, შესაძლოა, დაკავებული პირები განიცდიდნენ.

დაზარალებულის ასაკის, მისი ზოგადი მდგომარეობის (სიმთვრალე), გადაყვანისას გამოყენებული შებოჭვის ტექნიკის, სამედიცინო დახმარების საათნახევრიანი დაგვიანების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეასრულა პოზიტიური ვალდებულება, მიეღო აუცილებელი ზომები სიცოცხლის დასაცავად. შედეგად, დადგინდა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა.

[6] *Semache v. France, app no. 36083/16, 2018.06.21.*

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ შშმ პირებთან მიმართებით განხორციელებული ქმედებების დროს საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლებს მართებთ მომეტებული ყურადღება და სიფრთხილის ზომების მიღება,[7] მათი ეფექტიანი დაცვა, თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევებში კი, ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც შეესაბამება პირის ინდივიდუალურ საჭიროებებს.[8]

ევროპის საბჭოს ფარგლებში შემუშავებულია შშმ პირთა უფლებების დაცვის სტრატეგია 2017-2023 წლებისთვის, რომელშიც თავმოყრილია შშმ პირების უფლებები სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მიმართულებით. იმავდროულად, დასახულია ის პრიორიტეტული საკითხები, რომელთა გაუმჯობესებაზეც უნდა იზრუნონ ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა. სტრატეგიის მიზანია შშმ პირთათვის თანასწორობის, ღირსების და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი არ აყალიბებს სამართლებრივ ვალდებულებებს წევრი სახელმწიფოებისთვის, ის მნიშვნელოვნად ეხმარება მათ იმ სამუშაოების წარმართვასა და აქტივობების განხორციელებაში, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებით განმტკიცებულ ვალდებულებათა შესრულებას უზრუნველყოფს. სტრატეგია იმთავითვე ხაზს უსვამს სტანდარტებსა და პრაქტიკას შორის შეუსაბამობას. აქედან გამომდინარე, საქართველომ, ევროპის საბჭოს წევრი სხვა სახელმწიფოების მსგავსად, აქტიურად უნდა იზრუნოს მასში ასახული პრინციპების განმტკიცებაზე, რომლებიც, მათ შორის, სამართალდამცავთა მიდგომების გაუმჯობესებას შეეხება.[9]

[7] *I.C. v Romania, app no. 36934/08, 2016.08.24.*

[8] *Z.H v. Hungary, app no. 28973/11, 2013.02.08.*

[9] ევროპის საბჭოს შეზღუდული შესაძლებლობის სტრატეგია 2017-2023, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/disabilty-strategy-human-rights-a-reality-for-all-georgian-language/1680764a86 [11.12.2023].

2. შიდა ეროვნული კანონმდებლობა

2.1. სამართალდამცავების ურთიერთობა შშმ პირებთან

საიამ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ისე ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფ პირებთან დაკავშირებით. მიღებული პასუხებით[10] გამოიკვეთა ის ძირითადი ნორმები და შიდა დოკუმენტები, რომლებსაც პოლიცია იყენებს. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[11] შშმ პირებთან მიმართებით სამინისტრო ეყრდნობა: „პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-7[1] მუხლს; „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მომსახურეთა ქცევის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ შინაგან საქმეთა მინისტრის (შემდგომში „მინისტრი“) 2013 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებას; „დამცავი, შემკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულების ზედამხედველობის წესის დამტკიცების თაობაზე“ მინისტრის 2013 წლის 11 დეკემბრის №100 ბრძანებას; „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის №33 ბრძანებას; „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპიური დებულების და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანებას.

ზემოხსენებული სამართლებრივი აქტების გარდა, მინისტრის 2022 წლის 29 ივნისის №1/285 ბრძანებით ასევე დამტკიცებულია 2023-2026 წლების საშუალოვადიანი საქმედო გეგმა, რომელიც სასწავლო პროგრამების განახლებას, ხარისხის კონტროლის მექანიზმის დანერგვასა და სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებში ადაპტირებული შესასვლელების მოწყობას ითვალისწინებს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის მიერ შემუშავებულია დოკუმენტები, რომელთა მიზანიც გამოძიების პროცესში შშმ პირთა ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფაა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მიმართებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ჭრილში, დღევანდელი სამართლებრივი მდგომარეობა ასეთია:

„პოლიციის შესახებ“ კანონის მე-7[1] მუხლის მიხედვით, საპოლიციო ღონისძიებების განხორციელებისას პოლიცია ვალდებულია, დაიცვას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები. ეს კანონი, დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის გარდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ასევე პირდაპირ იხსენიებს იძულების ღონისძიებების გამოყენების კონტექსტში. „პოლიციის შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრძალულია ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება [...] შეზღუდული შესაძლებლობის [...] აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი შეიარაღებულნი ან ჯგუფურად ესხმიან თავს, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ პოლი-

[10] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული კორესპონდენცია, MIA 6 23 01863251 და MIA 3 21 02543498 წერილები.

[11] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული წერილი MIA 6 23 01863251.

ციელს, რაც საფრთხეს უქმნის სხვა პირის ან პოლიციელის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ ასეთი თავდასხმისა და წინააღმდეგობის სხვაგვარი ხერხებითა და საშუალებებით მოგერიება შეუძლებელია. იმავდროულად, ამ მუხლის მე-2 პუნქტში ხაზგასმულია საპოლიციო ფუნქციების შესრულების უპირატესობა და დადგენილია, რომ პირველი პუნქტიდან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოუყენებლობა შეუძლებელს ხდის საპოლიციო ფუნქციის შესრულებას.

„დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულების ზედამხედველობის წესის დამტკიცების თაობაზე მინისტრის 2019 წლის 11 დეკემბრის №100 ბრძანების“ მე-10 მუხლის მიხედვით, არასრულწლოვან ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ურთიერთობისას, ზედამხედველობაზე უფლებამოსილი პირი ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამავე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანი ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსხვერპლის შემთხვევაში, ზედამხედველობის პროცესში უპირატესობა ენიჭება მსხვერპლთან ვიზიტს.

ნორმატიული მოწესრიგების გათვალისწინებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხი ასევე განმტკიცებულია „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპიური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ მინისტრის №423 ბრძანებით“, რომელიც სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებთან მიმართებით ითვალისწინებს ჯანმრთელობაზე ზრუნვის, კვების, ინფორმირებისა და ზოგადად აკრძალული სხვადასხვა ნივთის დაშვების საკითხებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ არსებობს რეკომენდაციები „გამოძიების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეფექტიანი ჩართულობის შესახებ“ და „გამოძიების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთა ეფექტიანი ჩართულობის შესახებ.“

2.2. სამართალდამცავების ურთიერთობა ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფ პირებთან

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხებისგან განსხვავებით, რომელთა საჭიროებების დაცვის ზოგიერთი პრინციპი ასახულია სხვადასხვა სამართლებრივ აქტში, ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფნას ქართული კანონმდებლობა ყოველთვის დამამძიმებელ გარემოებად განიხილავს.

პოლიციელთა ქცევა, ზოგადად, ასევე რეგულირდება „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსითა“ და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ მინისტრის 2013 წლის №999 ბრძანებით“, რომლებიც თანაბრად შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ისე ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფ პირებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ამ ნორმებს, ძირითადად, თვითაღსრულებადი ხასიათი აქვს და ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი პირების მიმართ მათი

დარღვევის შემთხვევაში, ნაკლებია სამინისტროს შესაბამისი უწყების მხრიდან რეაგირების ალბათობა.

ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, შეინიშნება საკანონმდებლო ნორმების სიმწირე, ხოლო, მეორე მხრივ, პრაქტიკულ დონეზე სამართალდამცავები სწავლებას გადიან მხოლოდ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ირიბად ეხება ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთან ურთიერთობას სამართალწარმოების ფარგლებში.

შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შსს-ს აკადემიაში დანერგილია პოლიციელთა საბაზისო მომზადების პროგრამა, რომელიც განკუთვნილია პატრულ ინსპექტორების, მესაზღვრე კონტროლიორების, უბნის ინსპექტორების, მართლწესრიგის ოფიცრებისა და მესაზღვრე კონტროლიორებისთვის. პროგრამის ფარგლებში ისწავლება საგნები: „ადმინისტრაციული სამართალდარღვევები“ და „საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებთან კომუნიკაციის თავისებურებები“. მსმენელები გადიან ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: 1) საგზაო მოძრაობის წესებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, კონკრეტულად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლი - ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში და ამ სამართალდარღვევაზე რეაგირების ზომები; 2) ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენება, ტოლერანტობის ფორმირება და დამოკიდებულების ჩამოყალიბება; 3) ალკოჰოლის და ნარკოტიკების ზემოქმედების ქცევითი და ემოციური ინდიკატორები; 4) ვერბალური დეესკალაცია; 5) ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთან კომუნიკაციის რეკომენდაციები.[12]

შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ამ სწავლებას არ გადიან დეტექტივები, რომლებიც, მინისტრის 2019 წლის 13 დეკემბრის №102 ბრძანების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ახორციელებენ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლება-მოვალეობებს. შესაბამისად, მათ, თავიანთი საქმიანობის ფარგლებში, ასევე შეიძლება შეხება ჰქონდეთ ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან.

ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები განსაკუთრებულად მოწყვლად მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდნენ. ზოგჯერ ისინი ვერ ახერხებენ კომუნიკაციას, ასევე, უჭირთ, გაიხსენონ ფაქტები და რაციონალურად გადმოსცენ ინფორმაცია. ზოგ შემთხვევაში, მათ არ შესწევთ უნარი, წინააღმდეგობა გაუწიონ სხვა პირებს, ზოგჯერ კი განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან, რამაც, შესაძლებელია, სავალალო შედეგები გამოიწვიოს პოლიციასთან ურთიერთობის დროს. ერთი მხრივ, ეს შეიძლება განაპირობოს პოლიციის დამოკიდებულებამ ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ - ობიექტურმა საჭიროებებმა. აქვე აღსანიშნავია, რომ ალკოჰოლის ჭარბად მიღება, საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებების გამო, დასაძრახ ქცევად მიიჩნევა. ამრიგად, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას სამართალდამცავები გამოიყენებენ დისპროპორციულ ძალას, ამას, შესაძლოა, არ მოჰყვეს რაიმე პროტესტი საზოგადოების მხრიდან. ამასთანავე, ამგვარ მდგომარეობაში მყოფ პირებს შეი-

[12] შინაგან საქმეთა სამინისტროს MIA 3 21 02543498 წერილი.

ძლება გაუჭირდეთ საკუთარი უფლებების შელახვის დამტკიცება, რადგან არსებობს ერთგვარი უნდობლობა მათ მიერ გადმოცემული ინფორმაციის მიმართ.

ამრიგად, კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციით იკვეთება, რომ ძირითადი აქტი, რომელიც ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფ პირებთან ურთიერთობას შეეხება, არის ზოგადი მოქმედების დოკუმენტი - პოლიციელთა ეთიკის კოდექსი. თუმცა, ღია რჩება საკითხი, რამდენად ხდება სამართალდამცავთა მხრიდან პრაქტიკაში ამ კოდექსის ნორმების დაცვა და, დარღვევების შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირება.

3. პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემური შემთხვევები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქტიურად მუშაობს სპეციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებებზე, უწევს მათ იურიდიულ დახმარებას და, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოში წარმომადგენლობას. ასევე, პერიოდულად იმართება შეხვედრები სხვადასხვა ჯგუფთან მათი ცნობიერების გაზრდისა და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით. ამ პროცესში მიღებული ინფორმაცია არის ერთგვარი წყარო, რომელიც გამოკვეთს პრაქტიკაში სამართალდამცავი ორგანოების მიდგომებს და ავლენს ცალკეულ სისტემურ გამოწვევებს.

რეკომენდაციის მიზნებისთვის განვიხილავთ საიას პრაქტიკაში არსებულ რამდენიმე მაგალითს:

- 2022 წლის 24 იანვარს მედიასაშუალებებით გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, რომელიც შეიცავდა მეტროპოლიტენის საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ არასრულწლოვანი შშმ პირის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედების ფაქტებს. საქმეში არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების გათვალისწინებით, პოლიციელის ქმედება შეფასდა, როგორც არაადამიანური მოპყრობა. არასრულწლოვანის ინტერესებს საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოში საია იცავდა. გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში პოლიციელი სმენადაქვეითებულ შშმ პირს ალაპარაკებით ემუქრება. ნიშანდობლივია მეორე პოლიციელის უმოქმედობაც, რომელმაც მოძალადე არ შეაჩერა. ეს ბადებს ეჭვს, რომ, შესაძლებელია, მსგავს ქცევას სისტემური ხასიათი ჰქონდეს. რომ არა ამ დანაშაულის ვიდეოგადაღება და გასაჯაროება, იყო ალბათობა, რომ კონკრეტულ საქმეში შესაბამისი სამართლებრივი შედეგი ვერ მიღწეულიყო. ვიდეოჩანაწერში არსებული პოლიციელებიდან უშუალო მოძალადე პასუხისგებაში მიეცა არაადამიანური მოპყრობისთვის,[13] ხოლო მეორე პირი - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის.[14]
- საიას იურისტები 2023 წლის ნოემბერში შეხვდნენ მეტყველებისა და სმენის შეზღუდვის მქონე პირთა კავშირის წარმომადგენლებს. შეხვედრამ ცხადყო, რომ ისინი არაერთ პრობლემას აწყდებიან პოლიციასთან ურთიერთობის დროს. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პოლიცია ვერ ხვდება მათ შეზღუდვას ან მათი არ სჯერა, რაც სამართალდამცავი სისტემის მხრიდან ერთგვარ უნდობლობასა და შშმ პირებთან კომუნიკაციის უნარების ნაკლოვანებაზე მიუთითებს. კიდევ უფრო შემაშფოთებელია შემთხვევები, როდესაც პოლიციელები შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას ავლენენ შშმ პირთა მიმართ, რაც მათ გაღიზიანებას იწვევს. როდესაც სამართალდამცავი იღებს ინფორმაციას, რომ ადამიანი, რომლის მიმართაც საპოლიციო ღონის-

[13] იხ. საიას განცხადება *„ნაფიცმა მსაჯულებმა მეტროში არასრულწლოვანი შშმ პირის მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებული პოლიციელის საქმეზე ვერდიქტი გამოიტანეს“*, 29.07.2022, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/nafic-msajulebma-metroshi-arasrultslovani-shshm-piris-mimart-araadamianur-mopyrobashi-braldebuli-policielis-saqmeze-verdiqti-gamoitanes [11.12.2023].

[14] იხ. საიას განცხადება *„ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მეტროში არასრულწლოვანი შშმ პირის მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებული პოლიციელის საქმის განხილვას იწყებს“*, 20.07.2022, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/nafic-msajulta-sasamartlo-metroshi-arasrultslovani-shshm-piris-mimart-araadamianur-mopyrobashi-braldebuli-policielis-saqmis-gankhilvas-itsyebs [11.12.2023].

ძიებას ატარებს, შშმ პირია, ის დაბრკოლებებს აწყდება. სათანადო სწავლების გარეშე მას უჭირს შშმ პირისთვის გასატარებელი საპოლიციო ღონისძიების საჭიროების ახსნა. მეტი სირთულეა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებში, ვინაიდან, ზოგიერთ შემთხვევაში, შშმ პირთათვის ცნობილი არ არის კონკრეტული ქმედების აკრძალვის თაობაზე. სამართალდამცავებს არ აქვთ გავლილი საბაზისო კომუნიკაციის კურსი, რომელიც იდენტიფიცირებული გამოწვევების დაძლევაში დაეხმარებათ და შესაძლებლობას მისცემთ, ჟესტური ენის გამოყენებით აუხსნან შშმ პირს, რა ქმედების ჩადენას ედავება მას სამართალდამცავი ორგანო.

- ასევე, გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც სამართალდამცავებმა დააკავეს ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი, რომელიც პოლიციის მანქანაში ჰყავდათ, დაახლოებით, 30 წუთის განმავლობაში ხელბორკილებით. ამ დროის განმავლობაში პოლიციელები ადგილზე ოქმებს ავსებდნენ და ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ნივთებს ლუქავდნენ. მოქალაქის განმარტებით, მას მანქანაში ასეთ პირობებში ყოფნისას დაემართა პანიკური შეტევა და გონება დაკარგა. მართალია, პოლიციელებმა გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და, სამედიცინო მუშაკთა ჩართულობის შედეგად, პირის გადარჩენა მოხერხდა, თუმცა, მას განუვითარდა მეტყველების დეფექტი და კლაუსტროფობია.

- საია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აწარმოებს საქმეს ზვიად მთავრიშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით.[15] საქმე შეეხება 2019 წლის 15 აპრილს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში მცხოვრები ზვიად მთავრიშვილის მიმართ (რომელიც ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა) პოლიციელთა მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო ძალადობას და, ამის შედეგად, გარდაცვალებას. საია დავობს სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიების წარმოების ვალდებულების დარღვევის გამო. ასევე, საჩივარში აღნიშნულია, რომ ზვიად მთავრიშვილის გარდაცვალება სწორედ სახელმწიფო მოხელეთა (პოლიციის თანამშრომელთა) ქმედებების პირდაპირი შედეგია. ეს, თავის მხრივ, შესაძლებელია, განპირობებული იყოს იმით, რომ ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა პოლიციის თანამშრომლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. შემთხვევის პირდაპირი მოწმე, გარდაცვლილის და, საკუთარ ჩვენებაში აცხადებს, რომ პოლიციის თანამშრომელმა შემთხვევის ადგილზე მისვლამდე დარეკა მის ტელეფონზე. სატელეფონო საუბრისას პოლიციელებმა გაიგონეს, როგორ იგინებოდა სახლში მყოფი ზვიად მთავრიშვილი, რასაც მათი მხრიდან მუქარა მოჰყვა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციის თანამშრომლებმა ზვიად მთავრიშვილი ძალის გამოყენებით გაიყვანეს სახლიდან.[16]

---

[15] *Mtavrishvili v. Georgia, app no. no. 38019/22.*

[16] იხ. საიას განცხადება *„საია ზვიად მთავრიშვილის გარდაცვალების ფაქტზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარებას ითხოვს“*, 19.04.2019, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/ge/post/saia-zviad-mtavrishvilis-gardacvalebis-faqtze-srulyofili-gamodziebis-chatarebas-itkhovs#sthash.obijuQnV.dpbs [11.12.2023].

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ასევე გასათვალისწინებელია, რომ ალკოჰოლურ თრობას, როგორც წესი, ახასიათებს დროებითი გამოვლინება და, შესაძლებელია, გარკვეული დროის განმავლობაში სრულიად იგნორირებული იყოს ამგვარ მდგომარეობაში მყოფი პირის სამედიცინო საჭიროებებიც კი, რამაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ალკოჰოლური თრობის ქვეშ შეიძლება მოექცეს ნებისმიერი ადამიანი, მათ შორის, შშმ პირი, რაც კიდევ უფრო ართულებს ინციდენტზე სათანადო რეაგირებას.

4. რეკომენდაციები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან სამართალდამცავი უწყებების ურთიერთობის კონტექსტში რეკომენდებულია:

1. შემუშავდეს კომუნიკაციის წესების დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ფიზიკური, სენსორული, ინტელექტუალური და ფსიქიკური შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებები;
2. დოკუმენტის შემუშავების შემდგომ სამართალდამცავებს ჩაუტარდეთ სათანადო თეორიული და პრაქტიკული სწავლება;
3. შემუშავდეს სპეციალური სამედიცინო პროგრამა, რომელიც სამართალდამცავს მისცემს შესაძლებლობას, პირთან პირველი კომუნიკაციის შემდეგ დაადგინოს შესაბამისი შეზღუდვის არსებობა;
4. შემუშავდეს სამართალდამცავებზე მორგებული სპეციალური ჟესტური ენის ინტენსიური კურსი, რომლის დასრულების შემდეგ პოლიციის თანამშრომელი, რომელსაც პირველადი ურთიერთობა აქვს შშმ პირებთან, საჭიროების შემთხვევაში, პროცესში თარჯიმნის ჩართვამდე შეძლებს მათთან გასაუბრებას, უფლებების განმარტებას და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სათანადო საპროცესო წესით ფიქსაციას;
5. სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობის დროს არ გამოიყენონ ფორმალური მიდგომა. იხელმძღვანელონ არა მხოლოდ იმით, აქვს თუ არა პირს ოფიციალურად შშმ სტატუსი, არამედ გაითვალისწინონ მისი ფაქტობრივი სპეციალური საჭიროებები.

ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფ პირებთან სამართალდამცავი უწყებების ურთიერთობის კონტექსტში რეკომენდებულია:

1. შემუშავდეს ალკოჰოლურ ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან კომუნიკაციის სტანდარტი;
2. შსს-ს აკადემიაში შემუშავდეს სპეციალური საგანი, რომელიც გაითვალისწინებს ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფ პირებთან კომუნიკაციის თავისებურებას და საჭიროებებს;
3. შსს-ს აკადემიაში ამ დროისთვის არსებული კურსები და საგნები ასევე ჩაუტარდეთ დეტექტივებსა და შსს-ს თანამშრომლებს, რომლებსაც, მათი მოვალეობების გათვალისწინებით, შესაძლებელია, შემხებლობა ჰქონდეთ ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან;
4. შემუშავდეს ხელბორკილებისა და შებოჭვის ტექნიკის გამოყენების სპეციალური, ნათლად განჭვრეტადი წესები, რომლებიც უზრუნველყოფს დაკავებული პირის მდგომარეობაზე ჯეროვან მეთვალყურეობას.